საქმე №3/8420-11

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

20.01.2012 წ. ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე - დიმიტრი გვრიტიშვილი
სხდომის მდივანი - თამარ ჟორჟოლიანი

მოსარჩელე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"
მოსარჩელის წარმომადგენელი - სერგი ჯორბენაძე

მოპასუხე - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
მოპასუხის წარმომადგენელი თინათინ სირაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

- მოპასუხის მიერ ქმედების განხორციელება - საჯარო ინფორმაციის გაცემა იმ საკითხებზე, რომელიც მოთხოვნილი იქნა მოსარჩელის მიერ 2011 წლის 24 აგვისტოს №20110836 განცხადებით (სასარჩელო მოთხოვნა დაზუსტდა 2011 წლის 26 დეკემბერს - ს.ფ.51).

მოსარჩელემ განმარტა, რომ მოპასუხემ არაჯეროვნად შეასრულა თავისი კანონისმიერი ვალდებულება - გაეცა ინფორმაცია იმ ფორმით, როგორც ამას ითხოვდა მოსარჩელე. მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო რომელიმე კატეგორიის საიდუმლოების შემცველი, ამდენად - იგი ღიაა და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

2. მოპასუხის პოზიცია

მოპასუხემ სარჩელი არ სცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი

ბრძანებულებები შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, რომელთა გაცემა იმ პირის თანხმობის გარეშე, რომელსაც ეს მონაცემები შეეხება, არ დაიშვება.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. 2011 წლის 24 აგვისტოს მოსარჩელემ №20110836 განცხადებით მიმართა მოპასუხეს და მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის №130, №271, №222, №30, №171, №150, №33, №55, №199, №88, №121, №117, №202, №175, №10, №145, №157 ბრძანებულებების ასლების გადაცემა.

3.1.2. მოპასუხის 2011 წლის 5 სექტემბრის №15/275 წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ აღნიშნული ბრძანებულებები წარმოადგენს სამართლებრივ აქტებს საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის, საქართველოს მოქალაქეობის მიღების, საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისა და საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე.

3.1.3. 2011 წლის 23 სექტემბერს მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და მოითხოვა: მოპასუხის 2011 წლის 5 სექტემბრის №15/275 წერილის ბათილად ცნობა, განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა და განმცხადებლისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით. ადმინისტრაციულ საჩივარს მოპასუხისაგან წერილობითი პასუხი არ გასცემია.

3.1.4. საქმეში წარმოდგენილი, საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 2 ნოემბრის №682 ბრძანებულებით დგინდება, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ სამართლებრივი აქტი შეიცავს ამ პირთა სახელსა და გვარს, მათი მოქალაქეობის, დაბადების თარიღისა და ადგილის შესახებ ინფორმაციას.

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ბრძანებულებები შეეხება სხვადასხვა პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის, საქართველოს მოქალაქეობის მიღების, საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისა და საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხებს.

მტკიცებულებები, რომელსაც დაეყრდნო სასამართლო ფაქტობრივ გარემოებათა დადგენისას:

პუნქტი 3.1.1: მოსარჩელის 2011 წლის 24 აგვისტოს №20110836 განცხადება - ს.ფ.14

პუნქტი 3.1.2: მოპასუხის 2011 წლის 5 სექტემბრის №15/275 წერილი - ს.ფ.17

პუნქტი 3.1.3: მოსარჩელის 2011 წლის 23 სექტემბრის ადმინისტრაციული საჩივარი - ს.ფ.18
პუნქტი 3.1.4: საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 2 ნოემბრის №682 ბრძანებულება - ს.ფ.75
პუნქტი 3.2: მოპასუხის 2011 წლის 5 სექტემბრის №15/275 წერილი - ს.ფ.17; მოსარჩელეს მასში ასახული გარემოების საპირისპიროს დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა
სასამართლო თვლის, რომ მოპასუხის უარი სადავო ინფორმაციის გაცემაზე კანონიერია.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა
საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

6. სამართლებრივი შეფასება
6.1. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

6.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად საჯარო ინფორმაცია ღია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

6.3. იმავე კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას.

6.4. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ სადავო ბრძანებულებებში ასახული მონაცემები (მითითებულია ამ გადაწყვეტილების 3.1.4 პუნქტში) დაკავშირებულია ადამიანის კერძო საკითხებთან; ეს ინფორმაცია კი ავტომატურად, ყოველგვარი დამატებითი პროცედურის განხორციელების გარეშე, გასაიდუმლოებულია და ვერ გაიცემა, იმ პირის თანხმობის გარეშე, რომელსაც შეეხება აღნიშნული ინფორმაცია. ასეთი თანხმობა კი მოსარჩელეს მოპასუხისაგათვის არ წარუდგენია.

6.5. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ხოლო 33^1 მუხლის თანახმად თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება. ვინაიდან მოპასუხის უარი სადავო ინფორმაციის გაცემაზე კანონიერია, არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

7. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ვინაიდან სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე მოსარჩელის მიერ 2011 წლის 30 ნოემბერს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 (ასი) ლარი (ს.ფ.37) უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ დამატებით იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2, 34-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 243-244-ე, 247-249, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით და

გადაწყვიტა:

1. სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

2. მოცემულ საქმეზე მოსარჩელის მიერ 2011 წლის 30 ნოემბერს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 (ასი) ლარი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის: ქ. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის ქ. №7ა) 14 დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) მეშვეობით.

მოსამართლე: /დ. გვრიტიშვილი/

ასლი დედანთან სწორია

მოსამართლის თანაშემწე: [illegible]